



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაშაკიძე არჩილ აკაკის ძე



ვაშაკიძე არჩილ აკაკის ძე (დ. 30. V. 1943, თბილისი), ინჟინერ-ელექტრიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1991), პროფესორი (1992), საქართველო. სოფლის მეურნეობის მეცნ. აკად. ნამდვ. წევრი (2003). დაამთავრა სპი-ის ენერგეტ. ფაკ-ტი (1967), მუშაობდა: საქართველო. სას.-სამ. ინ-ტში ელექტროტექნიკისა და ელექტრიფიკაციის კათედრაზე ელექტრიფიკაციისა და ავტომატიზაციის ფაკ-ტის დეკანის,

გამოთვლითი ტექ. და ავტომატიზაციის კათედრის გამგის თანამდებობებზე (1970-97). იყო ამავე ინ-ტის პრორექტორი (1997-2003), რექტორი (2003-05). 2012-იდან არჩეულია სტუ-ის ენერგეტ. და ტელეკომუნიკაციის ფაკ-ტის სრულ პროფესორად. ვ. არის მრავალი სასნ., მეთოდური, სამეცნ. ნაშრომებისა და გამოგონების ავტორი, მონაწილეობდა საქართველოში პირველი მობილური სატელეკომუნიკაციო სისტემის „ალტაის“ შექმნაში. მისი სამეცნ.-კვლ. საქმიანობა ეძღვნება: ცოცხალ ორგანიზმებზე ზემოქმედებისას ენერგეტ. მონაცემების ოპტიმალური პარამეტრების დადგენას; საქართველო. ელექტროენერჯის აღდგენადი და არატრად. წყაროების გამოყენებას; საქართველოში ბიობენზინისა და ბიოდენდრის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. შექმნა სამკურნალო მცენარის „იუკა დიდებულის“ ამღები და ციტრუსების გამომრჩევი მანიპულატორი.

თბზ.: საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია, თბ., 1991.
